მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის

KA000086246544318

№ კ-236 **07 / თებერვალი / 2018 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„მცხეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული (კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული) ქონების გამოვლენის, აღრიცხვის და შეფასების კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 იანვრის #ს-66 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული (კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული) ქონების გამოვლენის, აღრიცხვის და შეფასების კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 იანვრის №ს-66 ბრძანებაში, კერძოდ:

1.1. ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„გ. კომისიის მდივანი - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამუნა კიკილაშვილი. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას და არ მონაწილეობს ხმის მიღების პროცესში“.

1.2. ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს „დ.ე“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ე. სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნუგზარ ხუხუნაიშვილი“.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი კაპანაძე